პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 167 (12375) | ოთხშაბათი, 18 ივლისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი პეტროზავოდსკში

პეტროზავოდსკი, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან მურმანსკში მიმავალი პეტროზავოდსკს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი ეწვია ქაღალდის საკეთებელი მანქანების ქარხნისა და საშენ კონსტრუქციათა კომბინატის მშენებლობის რაიონებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა მორსათრევი ტრაქტორი, რომელსაც პეტროზავოდსკის ონეგის სატრაქტორო ქარხანა აკეთებს. საწარმოს დირექტორმა ბ. ნ. ოდლისმა და მთავარმა ინჟინერმა დ. ნ. მარკოვმა ილუსტრაციებს ტრაქტორის ტექნიკურ მონაცემებსა და მის თავისებურებებზე. მორსათრევი ტრაქტორი მძლავრი კარგი მანქანაა, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს ხე-ტყის დამუშავების მუშაკებმა. როგორც ქარხნის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ამ ტრაქტორს ყიდულობს საზღვარგარეთის ზოგიერთი ფირმა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ი. ი. სენკინს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ს. ბელიაევს, კარელიის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. ს. პროკონენს, პეტროზავოდსკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. საუბრის დროს იგი დაინტერესდა საბინაო მშენებლობის მსვლელობით. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა უკეთ გამოიყენონ მშენებლობის გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების არსებული შესაძლებლობანი. თქვენს ქალაქს, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ტყეები აკრავს. თქვენ ბევრი ხე-ტყე გაგაქვთ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა უფრო ფართოდ გამოიყენოთ აგურისსაძირკვლიანი ხის სახლების მშენებლობა. ნიკიტა სერგის-ძე დაინტერესდა, თუ რა ჯდება საბინაო მშენებლობა, კერძოდ, როგორია საცხოვრებელი სახლების კვადრატული მეტრის თვითღირებულება, რომლებიც შენდება ხე-ტყისა და აგურის ბლოკებისაგან. მას აცნობეს, რომ აგურის ბლოკებისაგან აშენებული საცხოვრებელი სახლის კვადრატული მეტრი ღირს 140 მანეთი, ხოლო ხისა — 103 მანეთი. რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ეს სხვაობა ისეთი დიდად მიაჩნიათ, ნიკიტა სერგის-ძე კარ დაეთანხმა ასეთ აზრს და აღნიშნა, რომ სხვაობა დაახლოებით 20 პროცენტია. შედეგად — [illegible] ხისა — [illegible] ავაშენებთ აგურის [illegible] იქნება ყოველ [illegible] სახლი. უფრო ეკონომიურად უნდა მიუდგეთ მშენებლობის საკითხებს, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა. უკეთ უნდა შეისწავლოთ ადგილობრივი შესაძლებლობანი და ყველაფერი გამოიყენოთ იმისათვის, რომ აშენოთ უფრო იაფად, უფრო სწრაფად და უკეთ.

კარელიის ასსრ რესპუბლიკაში, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, როგორც ჩანს, ხელსაყრელი იქნება მშენებლობის დროს გამოიყენოთ სახლმშენებლობის ფარისებური მეთოდი, რომელიც გავრცელებულია ფინეთში. ამ წესის გამოყენების დროს მშენებლობას ხმარდება არასრულფასოვანი ხე-ტყეც. თქვენ კი ასეთ ხე-ტყეს იყენებთ მეორეხარისხოვანი საჭიროებისათვის.

პეტროზავოდსკში ყოფნის დროს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს გულთბილად მიესალმა ქალაქის ათასობით მცხოვრები.

«მინდვრის დედოფალს» —მზრუნველოგა

როგორ უვლით თქვენ სიმინდს?

მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში პირველი ადგილი სიმინდს უჭირავს. რესპუბლიკაში 10 ივლისისათვის სიმინდის ნათესების პირველი დამუშავების გეგმა 86,7 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო მეორისა — 50,9 პროცენტით. ბარშახდელ ამავე პერიოდთან შედარებით სიმინდის ნათესები მეორედ 27.845 ჰექტარით მეტ ფართობზეა დამუშავებული. სიმინდის ნათესების პირველი და მეორე დამუშავების გეგმების შესრულებაში წინ მიდიან: თელავის, სიღნაღის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, გორის, ახალციხის, ქობულეთის საწარმოო სამმართველოები.

გუდაუთის საწარმოო სამმართველოს სიმინდის ნათესების პირველი დამუშავების გეგმა 37,9 პროცენტით აქვს შესრულებული, ხოლო სოხუმის სამმართველოს — 75 პროცენტით. ნათესების მეორედ დამუშავებაც აქ შეუწყარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს. სოხუმის სამმართველოს ეს სამუშაო, ნაცვლად 14.882 ჰექტარისა, ჩატარებული აქვს 5.141 ჰექტარზე, ხოლო გუდაუთის სამმართველოს, ნაცვლად 5.456 ჰექტარისა, 214 ჰექტარზე.

სოხუმისა და გუდაუთის სამმართველოების ხელმძღვანელები ვერაფრით ჭერ გაიმარლებენ თავს.

გეგმა—ვადამდე

სოციალისტური შეჯიბრების წართოდ გაჯადებით ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საგოთა მეურნეობებმა 14 ივლისისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის საბი თვის გეგმა. მოკრეფილია 22 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად ფლიური გეგმით გათვალისწინებული 31.200 ტონისა. ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი ლენინდლე მატულობს.

ბიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქი მდიდარია კვარციტის სილითა და კირქვებით. ამის ბაზაზე აქ აშენდა სილიკატური აგურის მექანიზებული ქარხანა, რომლის კოლექტივმა წელს უნდა გამოუშვას ექვსი მილიონი ცალი აგური. ქარხნის კოლექტივმა ათი დღით ადრე შეასრულა ნახევარი წლის დავალება და გეგმის გადამეტებით მშენებლობებს მისცა 150.000 ცალი აგური. რიტმულად მუშაობენ ე. ენუქიძისა და მ. კაპანაძის ცვლები, აგრეთვე მუშები გ. ჩუბინიძე, ლ. კვიტინაძე, ე. მეტრეველი, ჯ. სამხარაძე, ა. გოცაძე, ო. გამეზარდაშვილი, გ. გოკსაძე. ქარხნის კოლექტივმა 20.000 ტონა კვარციტის სილა გაუგზავნა ბორჯომის, ოქჩალის და ქუთაისის მინის ქარხნებს.

შვიდწლედის მეოთხე წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ე. თავაძე). აქ საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა 28 ივნისისათვის 101,1 პროცენტით შესასრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს.

საწარმოო დავალების ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულებისათვის გაწეილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ვ. ქემაშვილის და შ. კაკილაშვილის ნართის წარმოების ბრიგადები და მქსოველთა ის ბრიგადები, რომლებსაც ა. ჩიქოვანი, ლ. ჯანაშვილი და გ. ხარიტონაშვილი ხელმძღვანელობენ.

ნაკლოვანებანი

წარჩინებული მეაბრეშუმეები

თერჯოლა. (საკ. კორ). აქ ბევრი წარჩინებული მეაბრეშუმეა. მათ უკვე დაიწყეს ეახელმწიფოსათვის პარკის ჰიყიდვა. კვახჭირელმა დოდო კაკაურიძემ მიმღებ პუნქტში მიიტანა 64 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი და დავალება სამმაგად შესასრულა. კიდევ უკეთ იმუშავა ნახშირელელმა მეაბრეშუმემ ე. ტალახაძემ, რომელმაც ათი გრამი აბრეშუმის მური გამოკვლევა და ნაცვლად 25 კილოგრამისა სახელმწიფოს მიჰყიდა 81 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი. პარკის მაღალი მოსავალი მიიღო აგრეთვე ღვანკითელმა მასწავლებელმა თამარ ზვიადაძემ.

სკოლის რემონტზე მოსწავლეები მუშაობენ

ამბროლაური. (საკ. კორ.). სადმელის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ ბანიზრაბეს საკუთარი ძალებით გაუკეთონ სკოლას რემონტი.

ენერგიულმა, შრომისმოყვარე მასწავლებელმა ვ. ზარაბიძემ უკვე შეადგინა ბრიგადა და დაიწყო სასკოლო ინვენტარის შეკეთება, მოკლე დროში მათ შეაკეთეს და შეღებეს 125 მერხი. სკოლის ეზოს გაუკეთეს ახალი ღობე.

სადმელელთა მაგალითი მისაბაძია.

ბრძოლა მეწყერიანობას და ეროზიას

სოხუმი. (სპეც. კორ.). საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ ამ დღეებში აქ გამართეს თათბირი, რომელიც მიეძღვნა საკითხს — „ეროზიისა და მეწყერის მოვლენები აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მათთან ბრძოლა".

თათბირზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გაბუნია, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი გ. ბერულავა, რესპუბლიკური გაერთიანება „სოფლფლტექნიკის" განყოფილების მთავარი ინჟინერი ვ. ყანზაბაშვილი და სხვ.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

საქართველოს სსრ 1962 წლის 15 ივლისისათვის

(ტონობით)

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები და ავტონომიური რესპუბლიკები	გეგმა		შესრულება		შესრულების პროცენტი	
	1962 წლის	იგივეს	სეზონის დასაწყისიდან	იგივეს	წლიური გეგმის	იგივეს
ზესტაფონის სამმართველო	395	89	402	50	101,8	56,2
სამტრედიის სამმართველო	3721	854	2921	495	78,5	58,0
წყალტუბოს სამმართველო	5840	1812	4810	793	82,4	60,4
მახარაძის სამმართველო	44760	10263	32100	5308	71,7	51,7
ცხაკაიას სამმართველო	17182	3945	12195	1926	71,2	48,8
ზუგდიდის სამმართველო	31271	7144	22285	3988	71,1	55,8
აფხაზეთის ასსრ	25760	5904	17090	2729	66,3	46,2
სოხუმის სამმართველო	22860	5244	15875	2435	67,8	46,4
გუდაუთის სამმართველო	2900	660	1715	294	59,1	44,5
აბარის ასსრ	26121	5985	19862	3183	76,0	52,3
ქობულეთის სამმართველო	25961	5947	19725	3109	76,0	52,3
შუახევის სამმართველო	160	38	137	24	85,6	63,2
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	155000	35496	111615	18417	72,0	51,9
იყო 1961 წლის 15 ივლისისათვის	150000	34472	100224	18158	66,8	52,7
იყო 1962 წლის 10 ივლისისათვის	155000	35496	103973	10775	67,1	30,4

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

საერთაშორისო ცნობები

გადადგა უფლა მინისტრი

ტოკიო, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს იაპონიის მთავრობის ყველა მინისტრი გადადგა კაბინეტის რეორგანიზაციის გეგმებთან დაკავშირებით, რასაც პრემიერ-მინისტრი იკედა ახორციელებს. კაბინეტის რეორგანიზაცია შეუფარდეს იკედას ხელახლა არჩევას ამას წინათ გამართულ ყრილობაზე მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტად და დამთავრდება ანტაგონისტური ფრაქციების ლიდერების უბრალო გადაჯგუფებით, რომლებიც ერთმანეთში იბრძვიან ხელისუფლებისათვის, და 2-3 მინისტრის შეცვლით თვით იკედას პოზიციების განსამტკიცებლად.

როგორც ფიქრობენ, ახალ კაბინეტში არ მიიწვევენ პიტირო ფუძიამას, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გაიდა მთავრობიდან, რადგან არ ეთანხმებოდა იკედას ეკონომიურ პოლიტიკას.

გადადგა პერუს მთავრობა

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკდესი). გუშინ პერუს მთავრობა გადადგა. როგორც უცხოეთის საინფორმაციო საგენტოები ლიმიდან იუწყებიან, გადადგომა მოხდა იმის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პრადომ უარი თქვა დაეტმაყოფილებინა პერუს შეიარაღებულ ძალთა სარდლობის მოთხოვნა მომდინარე წლის 10 ივნისს მომხდარი პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ.

როგორც ცნობილია, არჩევნების შედეგად ვერც ერთმა კანდიდატმა პერუს პრეზიდენტის პოსტზე ვერ შეაღწია იმ ხმების მესამედი, რაც კონსტიტუციის თანახმად საჭიროა არჩევისათვის. ამიტომ პრეზიდენტი უნდა აირჩიოს ახალი შემადგენლობის კონგრესმა იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს.

როცა ცნობილი გახდა, რომ ხმების უმრავლესობა მიიღო სახალხო პარტიის ლიდერმა აპრა აია დე ლა ტორემ, ოპოზიციურ-თანაც არმია მტრულ განწყობილებაშია უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, და რომ კონგრესს შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიოს იგი, სამხედრო პირებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომლითაც მოსთხოვეს მთავრობას არჩევნების შედეგის გაუქმება.

სუპარნოს განცხადება

ჯაკარტა, 17 ივლისი. (საკდესი). ინდონეზიამ გადაწყვიტა ჰოლანდიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაზე გაგზავნოს ვამინგტონში საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო და გენერალი ჰიდაიატი, რათა გამოარკვიოს, მზად არის თუ არა ჰოლანდია დაუბრუნოს დასავლეთ ირიანი იმ ვადაში, რომელიც ინდონეზიამ დასახა, განაცხადა დღეს სურაბაიაში გაფრენის წინ პრეზიდენტმა სუკარნომ.

საგჭოთა ინჟინერი განთავისუფლებულია

ბონი, 17 ივლისი. (საკდესი). როგორც უკვე პრესა იუწყებოდა, დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა, დაარღვიეს რა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმება საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის სტატუსის შესახებ, 1961 წლის ზაფხულში სრულიად უსაფუძვლოდ დააპატიმრეს და ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელს ინჟინერ ვ. ა. პრიპოლცევს. საბჭოთა კავშირის მხრივ მიღებული იყო ზომები ამ უკანონო მოქმედების აღკვეთისა და საბჭოთა ინჟინრის განთავისუფლებისათვის. ამ დღეებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებმა გაათავისუფლეს პატიმრობიდან ვ. ა. პრიპოლცევი და იგი სამშობლოში დაბრუნდა.

ბრიტანეთის გვიანა დამოუკიდებლობას მოითხოვს

ლონდონი, 17. ივლისი. (საკდესი). ბრიტანეთის გვიანის თავისუფლებისათვის მებრძოლმა ასოციაციამ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა საპროტესტო განცხადება ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ მომდინარე წლის სექტემბრამდე განგრძოს კონფერენციის მოწვევა, რომელზეც საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ბრიტანეთის გვიანასათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თარიღის საკითხი. „ეს გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ინგლისის მთავრობა აგდებულად ეკიდება ბრიტანეთის გვიანის ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი, ასოციაცია მოითხოვს დაუყოვნებლივ მიენიჭოს დამოუკიდებლობა ბრიტანეთის გვიანას.

თავის მეხუთე ყოველწლიურ კონფერენციაზე ასოციაციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აგრეთვე პროტესტს აცხადებს ინგლისის ხელისუფალთა ამ სამარცხვინო გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

გუშინ ასოციაციის წარმომადგენლებმა ინგლისის კოლონიების საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს გადასცეს საპროტესტო რეზოლუცია.

მშვიდობის მოსურნენი

მსოფლიო კონგრესის მონაწილენი საქართველოში

ბულთგილად შეხვდა თბილისი 16 ივლისს ღამით საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მოსკოვის მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა ჯგუფს. დიდი ხნით ადრე, სანამ საზღვარგარეთელი სტუმრები მოსკოვიდან ჩამოვიდოდნენ, აეროდრომზე შეიკრიბა ქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. აეროპორტში მოვიდნენ საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გიგოშვილი და სხვები.

„ტუ-104" თვითმფრინავი აეროდრომზე დაეშვა. თვითმფრინავიდან ჩამოდიან არგენტინის, ბოლივიის, ჰონდურასის, კოსტა-რიკის, პარაგვაის, ჩილის დელეგაციათა წევრები, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად მიესალმებიან. ჩამოსულთა შორის ლათინური ამერიკის ქვეყნების 60 წარმომადგენელია. ესენი არიან სხვადასხვა პროფესიის, თაობის, მრწამსის ადამიანები. მათი მთელი საქმეები და ფიქრები მიმართულია ერთი მიზნისაკენ — მშვიდობის შენარჩუნებისაკენ.

სტუმრებს სიტყვით მიმართა ა. ხორავამ. იგი ამბობს, რომ ქართველი ხალხი სულითა და გულით ხვდება მშვიდობის მოცარტულებს ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი დაინტერესებითა და მშვიდობის დიადი იდეალების გამარჯვების რწმენით ადევნებდა თვალს კონგრესის მუშაობას. ისინი მხურვალედ მიესალმებიან კონგრესის მიმართვას მსოფლიოს ხალხებისადმი.

მიკროფონთან მიდის არგენტინის სოციალისტური პარტიის „ავანგარდის" გენერალური მდივანი, პარლამენტის დეპუტატი დავიდ ტიფენბერგი. მან მადლობა გადიხადა გულთბილი მიღებისათვის. მოსკოვის კონგრესმა, ხაზგასმით აღნიშნა დ. ტიფენბერგმა, ცხადყო ყველა ხალხის წარმომადგენელთა ნების ერთიანობა, რომ იბრძოლონ მტკიცე მშვიდობისათვის, კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ატომური ომის საფრთხისაგან.

კოსტა-რიკის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლოს ლეუს საენსმა აღნიშნა კეთილი ნების ყველა ადამიანის მისწრაფება გაერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

აღფრთოვანებული სიტყვა წარმოთქვეს პარაგვაელმა ეკონომისტმა ლეოპოლდო ოლმედომ, ბოლივიელმა სენატორმა ნიუფაო ჩავეს-ორტისმა: უნდა ვიმოქმედოთ აქტიურად და მტკიცედ, ვნა გადავღოროთ ომს.

17 ივლისს დილით მსოფლიო კონგრესის დელეგატები რუსთაველზე გაემგზავრნენ, გულთბილად, ძმურად შეხვდნენ მათ ქალაქის მშრომელები. მეტალურგიული ქარხნის შესასვლელთან საწარმოს მუშათა და მოსამსახურეთა ბავშვებმა თაიგულები მიართვეს მათ.

დელეგაციის წევრები იყვნენ ქარხნის საამქროებში, ინტერესით გაეცნენ წარმოებას. ქარხნის დირექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ს. შარაძენიძემ ილაპარაკა კოლექტივის წარმატებებზე, იმაზე, რომ ქართველ მეტალურგთა პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

კონგრესის დელეგატებსა და მუშებს შორის გაიმართა მეგობრული საუბრები. ხმამაღლა გაისმოდა ესპანურ, ქართულ, რუსულ ენებზე შეძახილები: „მშვიდობა", „მეგობრობა".

მილსაგლინავ საამქროსთან სტიქიურად გაიმართა მიტინგი. ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლებს მიმართა საამქროს პარტიულის მდივანმა ინჟინერმა ზ. მაჭავარიანმა. მეტალურგთა სახელით გამოვიდა ლითონის მომლები გ. ქავქანიძე.

სიტყვას ამბობს მსოფლიო კონგრესის დელეგატი ადვოკატი ოსკარ კასტანიედო ბატრესი. ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო, საქართველოს მცხოვრებლებო! — ამბობს იგი. ცენტრალური ამერიკის წარმომადგენელთა სახელით, ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი, აღფრთოვანებული მიღებისათვის.

თქვენი ქარხნის დათვალიერების დროს ჩვენ ვნახეთ, თუ რა შთაგონებით შრომობთ მშვიდობისათვის, როცა ჩვენმა თვითმფრინავმა საქართველოს გადაუფრინა, ჩვენ ვხედავდით ჰაერში ქარხნის მილების კვამლს. იმ წუთში გავიფიქრე: რა კარგია, რომ ეს არ არის საშინელი სოკოები. ატომური იარაღის გამოცდებით გამოწვეული. დარწმუნებული ვარ, რომ კონგრესი ხელს შეუწყობს შეთანხმების მიღწევას საყოველთაო განიარაღებისა და ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ. და მაშინ მხოლოდ იმ ქარხნების კვამლს ვნახავთ ქალაქებში, რომლებიც სამშვიდობო პროდუქციას უშვებენ.

სიტყვა ეძლევა ტანმორჩილ, შავგვრემან ჭაბუკს — კოლუმბიის ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტს გერმო პეიანოს. იგი აღელვებით ლაპარაკობს იმაზე, რომ მისი ქვეყნის ახალგაზრდობა უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. ჩვენ ვიცით, თქვა მან, თქვენი შესანიშნავი საქმეები, გამარჯვებანი, განსაცდელი, რომელიც გადაიტანეთ წარსულ ომში და გმირობა, რომელიც მაშინ გამოიჩინეთ, ვიცით თქვენი შემოქმედებითი შრომა. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ, ჩვენ ახალი ძალღონით ჩავებმებით ბრძოლაში მშვიდობისათვის, საყოველთაო განიარაღებისათვის.

ჩილის გლეხთა ფედერაციის სახელით სიტყვას ამბობს ხოსე კომპუსანო. კონგრესის ნათელი გადაწყვეტილებანი, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, მთელი ძალების გაერთიანება ომის წინააღმდეგ ბრძოლაში, გვარწმუნებს, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს.

ჩვენ ვნახეთ, ამბობს შემდეგ ხოსე კომპუსანო, თქვენი მშვენიერი ქარხნები და ფაბრიკები. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აშენებენ, ქმნიან.

მიტინგი რუსთაველის მეტალურგიულ ქარხანაში გადაიქცა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხების ურღვევი მეგობრობისა და სოლიდარობის დემონსტრაციად.

საღამოს, რუსთაველიდან დაბრუნების შემდეგ, უცხოელი სტუმრები ეცნობოდნენ თბილისს. (საქდესი).

სურათებზე: (მარცხნივ) საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის დელეგატები თბილისში; (მარჯვნივ) მოწინავე მეფოლადე ა. ფანცულაია (მარცხნივ) მიესალმება მოსკოვის კონგრესის დელეგატებს მარტენის საამქროში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პარტიული ცხოვრება

რომ პოლიტიკურ მუშაობას სათანადოდ ბრ აფასებენ

დაკარგული ავტორიტეტი

ლოფლის ქუჩას მიმყვებოდნენ ისინი. წყნარი ღამე იყო.

ელექტრობის შუქზე კარგად მოჩანდა ადამიანთა სიფლეთები.

— გითხო რაო, მე რათ დავესაჯე! — ცბარობდა ერთი.

— მარტო შენ რათა, ნოდარ, შურასაც ბომ საყვედური გამოვუცხადეთ, — ამშვიდებდა მეორე.

— ოსებს მარლიშვილი არ იყო დასჯის ღირსი? პარტბიუროს მდგენის მოადგილეს უსაქმურობა ვბატიეს? — ეკითხებოდა ამბანაგებს მესამე.

დამანტერესა ამ საუბარმა. ეს ამბავი მერეღნი მოხდა. გორის რაიონში ხალხთან განმკმელია ეს სოფელი.

კოლმეურნეობის კანტორიდან ისევ სიბნელე გამოდიოდა. იქოთკენ გადაგუბვია. პარტიული კრება დამთავრებინათ. კომუნისტების ნაწილს იქ შეეხვედა. ვესაუბრე. კრებაზე კომუნისტების ავანგარდული როლის შესახებ ყოფილა მსჯელობა. ზოგისათვის საყვედური გამოუცხადებიათ, ზოგისთვის გაფრთხილება მიუცია საკოლმეურნეო შრომაში პასუხისმგებლობისთვის.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მერეთში მომიხდა ყოფნა.

მეიელი სოფელი ბაღშია ჩაფლულიყო. იქ ბავიცანი მოწინავე მეხილეები გუბულა და ავთანდილ გუგუტიშვილები. ამ რგოლებს, რომელებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, ყოველთვლიურად ხილის მაღალი მოსავალი მოჰყავთ. ამ ვიუკაცებმა გამარჯვ შრომით თანასოფლელთა სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს. მათი და ბევრი სხვა მოწინავე მეხილეების მუყაითობით მერეთის მიწურონის სახელობის კოლმეურნეობა რესპუბლიკის გარეთაც იყო ცნობილი. მაგრამ ერთხელ მოამოვიბული სახელი ვერ გასწვდა წლებს. უკანასკნელ ხანს მერეთის კოლმეურნეობის გმგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ცუდ მუშაობაზე ალაპარაკდა სოფელი.

პარტბიუროს მდგენის მოადგილემ, აგრონომმა გასილ მეცხვარიშვილმა გულახდილად გვითხრა:

— ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტების დიდ ნაწილს ამ ზაფხულს გაშლილ მქონდა გასაყიდად წაღებული რუსეთის ბაზრებზე და ზოგიერთს თვეობით მოუხდა იქ დარჩენა. აქ რომ მინდგრად შრომა გაჩაღდა, ისინი იქ გაშლილა ვეკრობდნენ. ბუნებრივია, ეს ფაქტი პატრონად კოლმეურნეობა თვალში აგტორიტეტს უტეხს პარტბიუროს და კოლმეურნეობის გმგეობას.

— გაშლილ მოვაკრეებს რა პასუხი მოსხოგეთ?

— ჩვენ არაფერი, — გვითხრა მეცხვარიშვილმა.

— იქნებ მად მიმართ გამგეობამ მიიღო რაიმე ზომები? — ახლა კითხვა შევუბრუნეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— რომელი ერთი დაგვესაჯა! — გვიპასუხა მან.

პარტბიუროს მდგენის მოადგილემ და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გადაწყვიტეს ისინი. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთები ჩავიწერეთ. აი ისინი. გიორგი აბრამაშვილი, გიორგი გუდაძე, აკაკი გუგუტიშვილი, ივანე გუგუტიშვილი, გაიოზ გაბლიშვილი, ალექსანდრე თაბიაშვილი, ზაქარია ელიოზოვილი, ოთარ სიმონიშვილი, თენგიზ გორგიშვილი, მიაქა გრიგორიანცი, შაქრო სვანიაშვილი, მირიან გორგიშვილი, ირაკლი ქებაძე, სულიკო გორგიშვილი და სხვები, რომლებიც არცხვენენ მშობლიური კოლმეურნეობის სახელს.

გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შევიტყე, რომ მერეთის კოლმეურნეობაში სამეურნეოსაფინანსო მდგომარეობის დოკუმენტური რევიზია ჩაუტარებიათ. რევიზიის შედეგებზე გკითხე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხეილ ანიოშვილს. მას სახე შეეფაკალა, მერე კანტიკუნტად წარმოთქვა: — ისეთი არაფერია აქშია.

თავმჯდომარის ნათქვამმა გამახსენა ერთი ქართული ანდაზა: „აკაკი რომ სიტყვას დეჭვას დაუწყებს, მას არ დაეკერებიო“ და აქეთ მოგიკითხე.

აქეთ ერთ ადგილას ეკითხულობთ: — კოლმეურნეობის მიერ ხილის მიმღებ პუნქტში ჩაბარებული 2.055 კილოგრამი მსხლიდან (აღნიშნულია ზედნადებებისა და ქვითრის ნომრები) 1.005 კილოგრამი გამოწერილია როგორც არასტანდარტული ვაშლი — კილოგრამი 10 კაპიკად, ხოლო დანარჩენი 1.050 კილოგრამი ბარისხიან მსხლად — კილოგრამი 45 კაპიკად. ფასთა სხვაობით კოლმეურნეობის ზარალი შეადგენს 351.75 მანეთსო.

— რატომ ეზარალდეთ?

— ჩვენ არ გვიზარალია, არასტანდარტული მსხალი მართლაც ამდენი იყო, კილოგრამის ფასი იცვლა, რაც არასტანდარტული ვაშლისა — თავი იმართლა თავმჯდომარემ.

— ვთქვათ ასე იყო, მაგრამ რად დაგჭირდათ ვაშლად გამოწერა?

— ამიტომ, რომ პუნქტი მსხალს არ იღებდა (!).

— მერე და ქვითარში გამოწერით მსხალი ვაშლად იქცა?

თავმჯდომარეს აღარაფერი უთქვამს.

ნათქვამია, ღვინის ქუდი თხლეზე დაიკერესოო, სწორედ ისე მოუვიდათ მერეთელებს. ჯერ იყო და შარშან შემოდგომაზე სამი ტონა ყურძნიდან 910 ლიტრზე მეტი ღვინის მიღება „ვერ შეძლეს“, მერე დაძმარების საბაბით 175 ლიტრი ღვინის გამოხდა სცადეს არაყად და აქაც უმტყუნათ ხელმა — მხოლოდ სამი ლიტრი არაყი მიიღეს.

სარეგიონო აქტში სხვა დანაშაულებენიც არის მხილებული. კოლმეურნეობაში მოგვალელობით დაიდუმა 61 სკა ფუტკარი; ადგილი მქონდა ქურდობას; ბაღიდან მოიპარეს 800 კილოგრამი ვაშლი.

პარტიის გორის რაიკომის ბიუროზე (მიმდინარე წლის 1 ივნისი) მსჯელობა იყო სოფელ მერეთის კოლმეურნეობაში სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის დოკუმენტური რევიზიის შედეგების შესახებ. ბიურომ ვალი ამით მოიხადა, რომ მასალები პროკურატურას გადაუგზავნა. მას შემდეგ თვე გავიდა და ეს საქმე პროკურატურაში ისევ უძრავად დგას.

ვასაკვირი იდარ არის, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტბიუროს თავმჯდომარემ ამ საქმეზე ავტორიტეტი დაკარგეს.

პარტბიუროში, როცა აგიტატორებზე გვქონდა საუბარი, კოლმეურნე კომუნისტი აკაკი მეცხვარიშვილიც მოიხსენიეს. მიმდინარე წლის ხუთ თვეში მას მხოლოდ 7 შრომადღე აქვს გამომუშავებული. აგიტატორიც ასეთი უნდა!

კოლმეურნეობის მოდარე-მოთანარეშეს თამარ გორგიშელს პარტბიუროს მემინდვრეობის პირველი ბრიგადის აგიტატორად ოვლის. მას რომ ეს ვუთხარით, გაიკვირვა: — განა მე აგიტატორი ვარ?!..

სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი ალეოშა ბაიაძე.

— თქვენს ბრიგადაში აგიტატორი ვინ არის? — შეეკითხე ბრიგადირს.

— დისაფის ხაზით... —რუზან გორგიშელი!..

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ პარტბიუროს მდივნის მოადგილეს რომ შეეხედა, სიტყვა მაშინვე ჩაუწყდა.

— აგიტატორის საუბრებს ხომ ეს-წრებით?

— კი, როგორ არა!

— უკანასკნელად რა თემაზე გქონდათ აგიტსაუბარი?

— მგონი სოფლის გარდაქმნებზე (!)

აქ კომენტარი ზედმეტია.

ვეცნობით მინდგრის სამუშაოების მიმდინარეობასაც. სახარბიელოდ არ არის საქმე. ჭიანურდება ბაღების რწყვა. ყველა კოლმეურნე ერთხაირი მონდომებით არ უვლის ბაქრის ბარხანას. შაქრის ბარხანი, რომელიც მოსაველად ვარა გლახაშვილს აქვს ჩაბარებული, 20 ივნისისათვის ისევ გამოუხშირავი იყო.

კოლმეურნეობაში ცუდად ინერგება კომპლექსური მექანიზაცია. სიმინდი ეროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად არც ერთ ბექტარზე არა აქვთ დათესილი. სათოხნ კულტურებს მოლიანად ხელით უვლიან. ამიტომ მათი წარმოება ძვირი უჯდებათ.

ბრიგადებში თვითდინებაზეა საქმე. კოლმეურნეების დარაზმვის ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც სოციალისტური შეჯიბრებაა, აქ პატივისცემით არ სარგებლობს. წელს არავის არ გახსენებია სოციალისტური შეჯიბრების გაშლა.

კოლმეურნეობაში პირველადი პარტიული ორგანიზაციის პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მოდუნების შედეგად გამრავლდა ნაკლოვანებანი, თავი ინინა საკოლმეურნეო ქონების გაწიანებისა და მითვისების ფაქტებმა. საბედნიეროდ, ზოგიერ მიმთვისებელებისა და გამნაოვებლების ხელმეწყობინი თვით კოლმეურნეობის მეხვეურები არიან. ეს ფაქტი იმაზე ლაპარაკობს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიარგი და მისი ინსტრუქტორები გორის საწარმოო სამმართველოში, პარტიის გორის რაიკომი სუსტად ეხმარებიან მუშაობაში საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. მათი ვალია მოკლე დროში აღკვეთონ ეს ნაკლოვანებანი და დაიმარონ მერეთის მიწურონის სახელობის კოლმეურნეობის გმგეობასა და პარტბიუროს დაკარგული ავტორიტეტის აღდგენაში.

მ. ხეთაგური.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოსკოვის უნივერსიტეტი გ ე ლ ი თ თ ქ ვ ე ნ!

მთელმა საბჭოთა ხალხმა ადფრთოვანებით მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, ყრილობისა, რომელმაც შეიმუშავა პარტიის ახალი პროგრამა — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა.

პარტიის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ახალი ადამიანის — მომავალი კომუნისტური საზოგადოების ღირსეული წევრის აღზრდის ამოცანებს, ისევ სპეციალისტთა კადრების აღზრდის ამოცანებს, რომლებიც ამ კომუნისტური საზოგადოების ღირსეული მშრომელნი იქნებიან. კომუნისტური პარტიის ეს შესანიშნავი გადაწყვეტილებანი ჯერიდეს მოვალეობას აკისრებენ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს.

ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს — უძველეს რუსულ უნივერსიტეტს, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი კურადღების მეშვეობით უმაგალითო აყვავებას მიაღწია. მოსკოვის უნივერსიტეტი ახლა წარმოადგენს უდიდეს სასწავლო და სამეცნიერო ცენტრს ჩვენს ქვეყანაში.

რედაქციას მრავალი ახალგაზრდა მომართავს თხოვნით — განგვმარტოთ მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლის პირობები, ამ უნივერსიტეტის თავისებურებანი, პროფილები და სხვ.

გასარკვევად მაგ და, საერთოდ, მოსკოვში სასწავლად გამგზავრების მსურველი საქართველოს ახალგაზრდობის სურვილს და ეთავაზობთ ამ უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ი. გ. პეტროვსკის წერილს, რომელშიც მოკლედ არის ნაუბნობი ჩვენი ქვეყნის ამ უდიდესი უმაღლესი სასწავლებლისა და მასში მიღების წესების შესახებ.

★ ★

ძვირფასო მეგობრებო!

ბევრ თქვენგანს ახლა აფიქრებს ხალხთხა, საით წავიდეს სასწავლად, როგორ შეარჩიოს თავისი სფერელის შესაბამისი სპეციალობა. თქვენთვის ლია ჩვენს ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის კარი, მათ შორის ჩვენი — მოსკოვის უნივერსიტეტის კარიც.

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის უდიდესი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრია. უნივერსიტეტში მუშაობენ გამოჩენილი მეცნიერები ცოდნის ყველა დარგში: მეცნიერულ-პედაგოგიური კოლექტივი აქ 2.300 კაცისაგან შედგება, მათ შორის 180-ზე მეტი აკადემიკოსი და სსრ კავშირის და სხვა აკადემიების წევრ-კორესპონდენტია.

თავისი არსებობის 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უნივერსიტეტმა მოამზადა 100 ათასზე მეტი სპეციალისტი. უნივერსიტეტის განყოფილებებშია საუცხოო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა 3,5 მილიონი ტომით, კარგი საყოფაცხოვრებო დაწესებულებებით და სპორტული ნაგებობებით.

მოსკოვის უნივერსიტეტის მრავალმა მეცნიერმა და კურსდამთავრებულმა მთელ მსოფლიოში სახელი მოუხვეჭა ჩვენს სამამულო მეცნიერებას. ძნელია ჩამოთვლა ის მეცნიერებანი, რომელშიც შრომითი წვლილი არ ჰქონდეს შეტანილი ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერთა მრავალთასიან კოლექტივს. მაგრამ მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბევრია გადაუწყვეტელი პრობლემა. მაგი გადაწყვეტილ-ებები ენერგიულ-ენერგიულ-ენერგიულ-

ორი პოზიცია

ჟენევის თათბირზე

დაიწყო 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის მეორე ეტაპი

საერთაშორისო ცხოვრება
ყოველკვირეული ცნობილი ჟურნალი

ჟენევა, 16 ივლისი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტი ი. მაზორი იუწყება: დღეს ერთი თვის შესვენების შემდეგ მუშაობა განაახლა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა.

დილის სრულ 10 საათზე ადგილობრივი დროით (12 საათზე მოსკოვის დროით) დაიწყო კომიტეტის პირველი პლენარული სხდომა შესვენების შემდეგ. მაგიდასთან ერების სასახლის საბჭოს დარბაზში ადგილები დაიკავეს 17 ქვეყნის დელეგაციებმა, რათა განაგრძონ ჯერ კიდევ 14 მარტს დაწყებული მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ მიაღწიონ შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. სხდომას კვლავ არ ესწრება საფრანგეთის დელეგაცია, რომელმაც თავიდანვე უარი თქვა კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობაზე.

მოლაპარაკების მეორე ტური დაიწყო, როგორც ჩვეულებრივ, საერთო დისკუსიით. იგი საინტერესოა, რამდენადაც ცხადყოფს, რით დაბრუნდნენ ჟენევაში თათბირის მონაწილენი ერთი თვის ფიქრისა და კონსულტაციების შემდეგ. ხომ ცნობილია, რომ კომიტეტის მუშაობის პირველ ეტაპს სრულიად უმნიშვნელო შედეგები მოჰყვა. სამი თვის განმავლობაში ძირითადად მოხერხდა ხელშეკრულების პრეამბულის შეთანხმება და მისი იმ პირველი სამი მუხლის წინასწარი სამუშაო პროექტის შემუშავება, რომლებიც შეეხება განიარაღების, განიარაღებისადმი კონტროლსა და საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ზოგად ვალდებულებებს. რამდენად გაითვალისწინეს კომიტეტის მონაწილეებმა, რომ საჭიროა სწრაფად და რადიკალურად გადაიჭრას განიარაღების პრობლემა? რამდენად შეეცადნენ ისინი დაეკმაყოფილებინათ ხალხების მტკიცე მოთხოვნა, რამაც ცხადენ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე?

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვ. ა. ზორინის სიტყვაში გამოთქმული იყო სსრ კავშირის მთავრობის მტკიცე განზრახვა ყოველი ღონე იხმაროს, რათა თავთავრმა სწრაფად მიაღწიოს შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საბჭოთა დელეგაციას დავალებული აქვს განაცხადოს, თქვა ვ. ა. ზორინმა, რომ საბჭოთა მთავრობამ გულდასმით შეისწავლა და მოიფიქრა საერთაშორისო და სრული განიარაღების შესახებ მოლაპარაკების მსვლელობა კომიტეტში ა. წ. მარტ-ივნისში. ამ მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ შეტანილი პროექტი ხელშეკრულებისა მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ნამდვილად იძლევა კომიტეტის წინაშე დასახული ამოცანის გადაწყვეტას.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, აღნიშნა, რომ სწორედ ხელშეკრულების ამ პროექტის საფუძველზე უნდა დაიდოს შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ და მოიყვანა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი მზად არის ეძებოს და იპოვოს ურთიერთმისაღები ფორმულირებულებანი, რომლებსაც შეიცავს ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი, დათმოს, სადაც საჭიროა, თუ, რა თქმა უნდა, ეს ზიანს არ მიაყენებს საყოველთაო და სრული განიარაღების საქმეს.

ამის შესაბამისად — თქვა ვ. ა. ზორინმა, — საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ახალი ნაბიჯები გადადგას ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების პოზიციის დასაკმაყოფილებლად და შეიტანოს ხელშეკრულების პროექტში, რომელიც სსრ კავშირმა წარადგინა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის განსახილველად, მთელი რიგი დამატებანი და დაზუსტებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილებს იმდენად, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრას. იგი დაწვრილებით შეეხო ამ დამატებებსა და დაზუსტებებს. საბჭოთა მთავრობა იღებს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას ჩვეულებრივ შეიარაღებათა შემცირების წესის შესახებ, რამდენადაც იგი საშუალებას იძლევა განხორციელდეს ამ შეიარაღებათა ლიკვიდაცია და არავისთვის არ ქმნის ცალმხრივ სამხედრო უპირატესობებს.

სსრ კავშირის მთავრობა მივიდა აგრეთვე იმ დასკვნამდე, რომ შეიძლება მიღებულ იქნეს ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი წინადადება ომის წარმოშობის საფრთხის შემცირების შესახებ.

როცა მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში დათმობაზე მიდის დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის მიმართ და ამ მიზნით შეაქვს დამატებანი და დაზუსტებანი საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების პროექტში, — თქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, — საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები ჯეროვნად შეაფასებენ საბჭოთა კავშირის კეთილი ნების ამ აქტს და თავის მხრივ განაახორციელებენ ღონისძიებებს საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების პროექტის რაც შეიძლება მალე შეთანხმებისათვის.

— მოლაპარაკება ატომური იარაღის ყველა გამოცდის სამუდამოდ აკრძალვის შესახებ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, თქვა მან.

ვ. ა. ზორინმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია მზად არის მონაწილეობა მიიღოს, ისე როგორც წინათ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა განხილვაში და მოუწოდა კომიტეტის ყველა მონაწილეს ყოველი ღონე იხმაროს კომიტეტის წინაშე დასახული ამოცანების რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის გამოსვლას (მისმა მეთაურმა ა. დინმა დღეს პირველმა აიღო სიტყვა) ინტერესით მოელოდნენ, რამდენადაც ჯერ კიდევ სხდომამდე დასავლეთის პრესა ფართო რეკლამას უკეთებდა პრეზიდენტ კენედის განცხადებას იმის შესახებ, რომ მან ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მისცა ინსტრუქცია ეცადოს შეთანხმების მიღწევას განიარაღების პროგრამის შესახებ.

მაგრამ ა. დინის სიტყვამ იმედი გაუცრუა იმათ, ვინც მოელოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გადადგამენ რაიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს პოზიციების დასაახლოებელად. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჟენევაში დაბრუნდა ძველი ბაგაჟით, რომლისთვისაც სახეც კი არ შეუცვლია. მისი სიტყვა შეიცავდა, ჯერ ერთი, განცხადებებს განიარაღების იდეისადმი ერთგულების შესახებ, და მეორე ამერიკის ეგრეთწოდებული „ხელშეკრულების ძირითად დებულებათა სქემის“ შექმნას. ამ სქემის განხილვამ მოლაპარაკების პირველ ეტაპზე, დაწყებული 18 აპრილით, რიცა იგი შეიტანეს, ცხადყო, რომ მისი მიზანია ყბადაღებული „ატომური დაშინების“ საშუალებათა შენარჩუნება და შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესება რეალურ განიარაღებამდე, ესე იგი შესაძლებლობის შექმნა ჯაშუშურ-დაზვერვითი მუშაობის წარმოებისათვის.

ა. დინს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხვევია ამ გაკოტრებული პოზიციიდან, მაგრამ შესაძლოდ მიიჩნია მოუწოდოს სსრ კავშირს „რეალისტურად მიუდგეს“ პრობლემას, თუმცა სწორედ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი წარმოადგენს ღონისძიებათა ნათელ, მკაფიო და თანმიმდევრულ პროგრამას მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების იდეის განსახორციელებლად. განსაკუთრებით არ მოსწონს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას, და ა. დინმა პირდაპირ თქვა ეს, რომ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი უკვე პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ატომური იარაღის მიტანის ყველა საშუალებისა და სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაციას.

ა. დინი შეეხო ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხს და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია წარუდგენს კომიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მოხსენებას ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის ხერხების შესწავლის შედეგების შესახებ. იგი არწმუნებდა კომიტეტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან მიაღწიონ შეთანხმებას გამოცდების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ამასთან გვერდი აუარა საკითხს, თანახმა არიან თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებას ასეთი შეთანხმების შესახებ საფუძვლად დაუდონ 8 ნეიტრალური ქვეყნის წინადადებანი.

ა. დინმა თავისი გამოსვლა დაამთავრა მოწოდებით „გონივრულად შეარბილონ უთანხმოებანი“, თუმცა თვითონ არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით. ამიტომ როგორც კი სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, რომელიც მეორე გამოვიდა, დაამთავრა თავისი სიტყვა, რომელიც გამსჭვალული იყო მისწრაფებით ნამდვილად გამოიძებნოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, ა. დინმა არ დააყოვნა ხელმეორედ აიღო სიტყვა, რათა შეეწინააღმდეგა მისი შუბლმაგარი პოზიციით გამოწვეული არახელსაყრელი შთაბეჭდილება. იგი არწმუნებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან „გულდასმით და დიდი ინტერესით შეისწავლონ ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის ცვლილებები, რომლებიც ვ. ა. ზორინმა შეიტანა. მაგრამ მან თქვე გაიმეორა, რომ სსრ კავშირმა ხელი უნდა აიღოს იმ მოთხოვნაზე, რომ სწრაფად, უკვე პირველ ეტაპზე, მოისპოს ატომური იარაღის მიტანის საშუალებანი.

ამავე დროს ა. დინმა გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 11 ივლისის განცხადება, რომელშიც იგი ცდილობს სსრ კავშირს დააკისროს ბრალი გამალებული ატომური შეიარაღების გაძლიერებისათვის.

ვ. ა. ზორინმა გადაჭრით გაილაშქრა საქმის ნამდვილი მდგომარეობის დამახინჯების ამ ცდის წინააღმდეგ. მან გამოაქვეყნა ციტატები საკითხის განცხადებიდან, რომელიც ამბოილებს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაწილეს.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე იტალიისა და ინგლისის წარმომადგენლნი. ისინი ეხებოდნენ, უმთავრესად კომიტეტის მუშაობის პროცედურის საკითხებს. ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისასალმებელია სსრ კავშირის მისწრაფება პოზიციების დაახლოებისადმი და რომ საბჭოთა წინადადებებს გულდასმით შეისწავლიან. პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა მ. ლიახსმა დაწვრილებით გააანალიზა ხელშეკრულების პროექტის ცვლილებები, რომლებიც სსრ კავშირმა შეიტანა, და აღნიშნა მათი კონსტრუქციული მნიშვნელობა.

უკანასკნელმა აიღო სიტყვა ბრაზილიის წარმომადგენელმა, რომელმაც მოუწოდა კომიტეტის პირველი რიგის ამოცანად ჩაეთვალოს შემთხვევების შემუშავება ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ.

კომიტეტის პლენარული სხდომის შემდეგ სსრ კავშირის დელეგაციის, მეთაურმა ვ. ა. ზორინმა მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტებს გააცნო თავისი გამოსვლა დღევანდელ სხდომაზე და პასუხი გასცა მიცემულ კითხვებზე.

გამოხმაურება

საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მუშაობის შედეგების გამო.

მშვიდობის საქმე ჩვენს ხელშია

პრაღა, 16 ივლისი. (საკადესი). საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე, წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „რუდე პრავო“, ერთმანეთს შეხვდნენ არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, არამედ სხვადასხვა მსოფლმხედველობის დამცველები, ყველას ერთიანებდა ზრუნვა კაცობრობისა და მშვიდობის ხვდასათვის.

ბუნებრივია, რომ სხვადასხვა გზების დასახვის დროს, რომლებიც ერთიანი მიზნისაკენ მიდიან, გამოვლინდა სხვადასხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო შეხედულებანიც კი.

დასასრულ მოწინავე სტატიაში ნათქვამია, რომ კონგრესმა საესებით შეასრულა თავისი მისია. მისი მომართვა მთელი მსოფლიოსადმი ემყარება იმ რწმენას, რომ, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, კაცობრობა არც თუ ისე შორ მომავალში იცხოვრებს ისე, რომ მას არ დაემუქრება ატომური ომის საშინელება.

ვარშავა, 16 ივლისი. (საკადესი). მშვიდობისათვის ბრძოლა შეიძლება და კიდეც უნდა დამთავრდეს სრული გამარჯვებით, ხაზგასმით აღნიშნავს „ტრიბუნა ლუდუ“ კომენტარებში, რომელიც გაუკეთა მოსკოვში დამთავრებულ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესს.

საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესი, რომელიც მოსკოვში გაიმართა, წერს ყოველკვირეული „ფშიაზნი“, ასახავს იმას, რომ სოციალისტურ ბანაკს ესმის ის დიდი სიმძიმე, რომ ომის საფრთხე საერთო საშიშროებაა, ხოლო მშვიდობის დაცვა ყველა ადამიანისა და ყველა ხალხის საქმეა.

მშვიდობის მოსკოვის კონგრესი ყველაზე წარმომადგენლობითი იყო ამ კონგრესებთან შედარებით, რომელიც დღემდე გამართულა, წერს „ეროლნეკ ეოლნოსტი“. კონგრესის მაღალ ტრიბუნაზე გამოვიდა ერთი-ერთი ყველაზე გამორჩეული მებრძოლი მშვიდობისათვის — საბჭოთა კავშირის პრემიერი ნ. ს. ხრუშჩოვი. მისი გამოსვლა იყო საყოველთაო განიარაღებისა და მეორე მსოფლიო ომის მედეგების ლიკვიდაციის პრობლემის გადაჭრის საკითხში მომქმედების კონსტრუქციული პროგრამა.

ჰელსინკი, 16 ივლისი. (საკადესი). „კაცობრობას შეუძლია დაიცვენოს და კიდეც უნდა დაიცვენოს შეხედულებათა სხვაობა მაშინ, როცა საქმე ეხება მის არსებობას, მის მომავალს“. ეს ეკუმშირატება, წერს „კანსან უუტისეტი“, დაადასტურა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესმა, რომელიც მოსკოვში გაიმართა. მოსკოვის „კონგრესმა წარმატება მოიპოვა. იგი ხიდია, რომელიც აერთიანებს მშვიდობის მომხრე მთელ ძალებს. ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითმა კონგრესმა გამოავლინა თავისი უნარი — გაიდეს მშვიდობისათვის კიდევ უფრო მძლავრი მოძრაობის წარმოშობის იდეები.

ასეთ შეფასებას იძლევს გაზეთი „კანსან უუტისეტი“ მოსკოვის კონგრესის მუშაობის შედეგებს. ფინეთის ბევრი სხვა გაზეთი აკვეყნებს ინგარიშს მსოფლიო კონგრესის დახურვისა და ამ კონგრესზე მიღებული მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვის შესახებ.

ბუქარესტი, 17 ივლისი. (საკადესი). დღეს გაზეთმა „სკანტეიამ“ მოწინავე სტატია მიუძღვნა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონგრესი ნაყოფიერი შედეგებით დამთავრდა.

მთავარი დასკვნა წერს გაზეთი, შემდეგია: კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ხელოვნურად ბაიდინა. კარგად ცნობილია, რომ მის სინდისზეა მრავალი სხვა არანაკლებ მძიმე დანაშაული, ვიდრე ის, რისთვისაც ამყავამდ საბრალდებულთა სკამზე მოხვდა. ეს ჰიტლერული ჯალათი იყო სულისჩამდგმელი და შემსრულებელი მოსაზღვრეობის მასობრივი მოსპობის მთელი რიგი „ოპერაციებისა“ ტერიტორიებზე, სადაც დროებით ბატონობდნენ ფაშისტები. მან მოაწყო ებრაელთა დარბევა სილეზიაში 1938 წელს და ეგრეთწოდებული „ბროლის ღამის“ შემდეგ ჰიტლერს მოახსენა, „ებრაელებისაგან გავათავისუფლეო სილეზია“. მან დააარსა ოსვენციმი. მისმა სს-ელთა ბრიგადამ 1941 წლის განმავლობაში დახვრიტა 100.000-ზე მეტი ებრაელი და პოლონელი, და, ბოლოს, 1944 წელს იგი სარდლობდა დამსჯელ ნაწილებს, რომლებმაც სისხლში ჩაახრჩეს პოლონელ პატრიოტთა აჯანყება ვარშავაში.

დასავლეთ გერმანიის იუსტიციის ორგანოები აყოვნებენ სასამართლო გამოძიებას, ავრეთვე მისი „ვარშავის საქმის“ გამო. ამავე საქმეზე პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული ვარშავის აჯანყების ჩახშობის მეორე მონაწილეც — ყოფილი სს-ელი გენერალი რაინეფარტი, რომელიც ამჟამად შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის ლანდტაგის დეპუტატია.

ტელეგრაფი გვატყობინებს

△ **სოფია**, 17 ივლისი. (საკადესი). ბულგარეთის ცენტრალური გაზეთები დღეს დიდრონი სათურებით აქვეყნებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი.

გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ ხაზს უსვამს, რომ დასავლეთ ბერლინისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოფაშისტო და რევანშისტული ელემენტების განუწყვეტელი პროვოკაციები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახლვარზე ქმნიან ვითარებას, რომელსაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს ამ რაიონში მყუდროებისა და მშვიდობის დაცვით დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეშფოთება.

△ **სოფია**, 17 ივლისი. (საკადესი). „ცივი ომის“ კიდევ ერთი კვირეული — ასეთი სათაური გაუკეთა დღეს გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელომ“ თავის სარედაქციო სტატიას, რომელიც მიძღვნილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის განცხადებისადმი 15 ივლისიდან 21 ივლისამდე ყბადაღებული „დამონებული ხალხების კვირეულის“ მოწყობის შესახებ“.

„ამერიკის პრეზიდენტმა, — წერს გაზეთი, — მისცა სტარტი გაძლიერებულ პოლიტიკურ კამპანიას, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდება და რომელსაც სამართლიანად „ცივი ომის“ კვირეული ეწოდება.

ამით, ხაზს უსვამს გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი მომხრეები განაგრძობენ ცივი ომის გაღვივების ჩაფუფულ პოლიტიკას, იმ ხალხებისა და ქვეყნების შინაურ საქმეებში დაუშვებელ ჩარევას, რომლებთანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ.

△ **ტოკიო**, 17 ივლისი. (საკადესი). ამერიკელმა ოკუპანტებმა, რომლებიც მოსახლეობის მტკიცე წინააღმდეგობის გამო იძულებული არიან უარი თქვან იაპონიის კუნძულ ხატიძიოზე ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობის გეგმაზე, მიმართეს თხოვნით იაპონიის მთავრობას გამოუყოს იაპონია-ამერიკის ადმინისტრაციული შეთანხმების შესაბამისად თავიანთი გეგმების განსახორციელებლად სხვა „უფრო მოსახერხებელი“ მიწის ნაკვეთი.

იაპონიის მთავრობა ხალისით დათანხმდა დაეკმაყოფილოს ეს თხოვნა, გუშინდელ სხდომაზე მან გადაწყვიტა გამოუყოს ამერიკის შეიარაღებულ ძალებს კუნძულ ხოკაიდოზე — რომელიც იაპონიის ყველა კუნძულიდან ყველაზე უფრო ახლო მდებარეობს საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთთან — ერთ მილიონამდე კვადრატული მეტრი მიწა შორი მოქმედების სანავიგაციო სადგურისა და სხვა სამხედრო ნაგებობათა მშენებლობისათვის.

△ **ბერლინი**, 17 ივლისი. (საკადესი). დასავლეთ ბერლინის სენატის წაყრუებით ამ უკანასკნელ დღეებში გახშირდა დასავლეთ ბერლინის ფაშისტური ელემენტების გამოხდომები და პროვოკაციები ნატოზე, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნის. როგორც დღეს ბერლინის დემოკრატიული პრესა იუწყება, 11-დან 15 ივლისამდე ელექტრომატარებლებში, კერძოდ, ჩაამტვრიეს 250-ზე მეტი ფანჯარის მინა და დაეხიანეს მრავალი ვაგონის შიგა მოწყობილობა. რეაქციონერებმა ხელი ჩაიქნიეს ამ ფაქტზე.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, მხოლოდ რკინიგზელთა სიფხიზლის მეოხებით ელექტრომატარებელთა მოძრაობა დასავლეთ ბერლინში მიუხედავად პროვოკაციებისა ზუსტად და შეუფერხებლად მიმდინარეობს.

△ **პარიზი**, 17 ივლისი. (საკადესი). თოქმის შვიდი წლის შესვენების შემდეგ ალჟირში კვლავ გამოდის დემოკრატიული ყოველდღიური გაზეთი „ალჟე რესპუბლიკენი“.

ფრანგმა კოლონიურმა ხელისუფლებამ აკრძალეს გაზეთი 1955 წლის სექტემბერში და დაამატეს მისი დირექტორი ანრი ალეგი.

გაზეთის პირველი ნომრის სარედაქციო სტატიაში აღნიშნულია: „ალჟე რესპუბლიკენი“ მთელი ძალღონით იბრძოლებს კოლონიალიზმისა და მისი ყველა ფორმის წინააღმდეგ.

„ოცდაათი წუთი საბჭოთა კავშირში“

პარიზი, 16 ივლისი. (საკადესი), ამ დღეებში საფრანგეთის ტელევიზიით გადასცეს ცნობილი ფრანგი ჟურნალისტის ლეონ ზიტრონის რეპორტაჟი „30 წუთი საბჭოთა კავშირში“.

ზიტრონი ფრანგ ტელემაყურებლებს უჩვენებს კადრებს, რომლებშიც აღბეჭდილია ლენინგრადი, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ეს არის გმირი ქალაქი, რომელმაც წარსულ ომში მძიმე ალყა გადაიტანა“. როცა ფრანგ ტელემაყურებელს აცნობს უდიდესი მასშტაბის საბინაო მშენებლობას, ზიტრონი შენიშნავს, რომ შეიძლება სხვადასხვა აზრი არსებობდეს ახალი საბჭოთა სახლების არქიტექტურაზე. შინაგან დაგეგმვასა და მოპირკეთებაზე, მაგრამ მთავარია კოლოსალური საბინაო მშენებლობა ლენინგრადში, „სადაც ათიათასობით ოჯახი ყოველწლიურად შედის ახალ ბინებში“. რეპორტაჟის ავტორი ლაპარაკობს ტელევიზიის სწრაფ განვითარებაზე.

ზიტრონი თავის რეპორტაჟში დაწვრილებით უჩვენებს ფრანგ მსახიობთა დასის გასტროლებს სსრ კავშირში და გამოყოფს იმ ადგილს დასის ერთ-ერთ წამყვან აქტიორთან ინტერვიუში, სადაც განსაკუთრებით აღნიშნულია ორ ხალხს შორის კულტურული კონტაქტების დიდი მნიშვნელობა და გულთბილი შეხვედრა, რომელიც ფრანგ მსახიობებს მოუწყეს სსრ კავშირში.

მოსკოვი. აქ ლეონ ზიტრონის ობიექტივი ჩერდება გორკის ქუჩის მაღაზიების, კერძოდ მაღაზია „ბერიოზკის“ ვიტრინებზე, მოსკოველებზე, გაზეთ „იზვესტიის“ შენობაზე. ფრანგი ჟურნალისტის კომენტარები მუდამ ობიექტური და მეგობრული საბჭოთა ხალხისადმი.

„არის თუ არა სსრ კავშირში სარწმუნოების თავისუფლება?“ (როგორც ცნობილია ამ საკითხზე ეწევა სპეკულაციას ანტისაბჭოთა პასკვილების „რაიმონ კარტიეს ტიპის ბეჭრი ავტორი“). ლეონ ზიტრონი ამ კითხვაზე უპასუხებს კინოკადრების ენით: მან გადაიღო წირვა მართლმადიდებელთა ტაძარში, სინაგოგაში, მეჩეთში. „თუმცა კომუნისტი ათეისტური, დასაკვნის ზიტრონი, და არაფერი არ უჭერს მხარს რელიგიას, ყველას, ვისაც სსრ კავშირში სურს აღიარებდეს რელიგიას, სავსებით თავისუფლად შეუძლია ასე მოიქცეს“.

კიროვის სახელობის საათის ქარხანაში ლეონ ზიტრონი ესაუბრა მთელ რიგ მუშებს. კითხვა ერთი იყო — როგორ ცხოვრობთ? ტელევიზორის ეკრანიდან ფრანგებმა მოისმინეს ნაამბობი, თუ როგორ იღებენ ახალ ბინებს ადამიანები, რომლებიც შედარებით ცოტა ხნის წინათ მივიდნენ ამ ქარხანაში, რომ ხელფასი „კარგია, განსაკუთრებით ბოლო დროს“, რომ მუშები სულ უფრო ხშირად ყიდულობენ ავტომანქანებს. და ლეონ ზიტრონი თვითონ დასძენს, რომ სსრ კავშირში „სულ უფრო მრავლდება ავტომანქანები, რომლებიც რიგითი მოქალაქეების პირად სარგებლობაშია“.

რეპორტაჟის დასასრულ მილიონობით ფრანგი თითქოს ესაუბრა საბჭოთა ადამიანებს, რომლებსაც ზიტრონი შემთხვევით შეხვდა: სტუდენტებს, ორ ქალიშვილს („რომლებსაც ისე ეცვათ და ისე ჰქონდათ დავარცხნილი თმა, როგორც პარიზში“, — შენიშნავს ავტორი), ხნიერ კაცს, რომელიც მოსკოვში ჩამოსულა პროფინციიდან.

დამახასიათებელია, რომ კითხვაზე, მიგაჩნია თუ არა თქვენ, რომ თმი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გარდუვალია, ზიტრონის ყველა თანამოსაუბრმა უარყოფითად უპასუხა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სადავო საკითხები შეიძლება გადაიჭრას მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების მაგიდასთან. ზიტრონის ერთ-ერთმა საბჭოთა თანამოსაუბრემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უყვარს ფრანგი ხალხი, ამიტომ დიდად აწუხებს საფრანგეთის მმართველი წრეების ანალიდელი ფლირტი ბონელ მილიტარისტებთან. ვაი თუ საფრანგეთი ისევ დაამარცხონ გერმანელებმა, როგორც ეს უკვე არაერთხელ იყო, — ამბობს იგი. ზიტრონი აღნიშნავს, რომ მას ჰკონდა სრული შესაძლებლობა ელაპარაკა ყოველგვარ თემაზე და ესაუბრა ვისთანაც სურდა.

ახალი დანაშაული

ჰავანა, 16 ივლისი. (საკადესი). ამას წინათ ამერიკის გუანტანამოს საზღვრო-საზღვაო ბაზაში მხეცურად მოკლეს კუბელი მებადური როდოლფო როსელი. კომენტარს უკეთებს რა ამ ამბავს, გაზეთი „ნოტისიას დე ოი“ მოწინავე სტატიაში წერს: „მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს წინაშე კუბა უცილობელი მონაცემებით ამხილებს იმას, რომ მის საჰაერო სივრცესა და საზღვაო საზღვრებს ანადევნებენ ბაზაში განლაგებული ამერიკის ჯარები, ხშირად უშენენ ცეცხლს ჩვენს ტერიტორიას, რასაც დღითი დღე სჩადიან ამერიკის „საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები“, და სხვა პროვოკაციულ მოქმედებას მიმართავენ იანკები, ჩვენი ტერიტორიის ამ ნაწილზე მდებარე ბაზიდან, რომელიც შეერთებულმა შტატებმა დიპაყრეს, ხდება ახალი დანაშაული — კუბელი მოქალაქის მოკვლა“.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, წერს გაზეთი, თუ რა საზარელ როლს ასრულებს კუბის ტერიტორიაზე მდებარე ამერიკის გუანტანამოს ბაზა, რომელიც შენარჩუნებულია კუბელი ხალხის ნებისა და საერთაშორისო სამართლის ყოველგვარი პრინციპების წინააღმდეგ.

გაზეთი მოუწოდებს კუბელ ხალხს აამაღლოს სიფხიზლე, რევოლუციური სიმტკიცე და ერთობა, წინ წასწიოს სოციალიზმის მშენებლობის საქმე, რათა „განამტკიცოს საყვარელი სამშობლო და გასრისოს საზიზღარი მკვლელები, რომლებსაც უხვად ეხდის ფულს იანკის იმპერიალიზმი“.

• • •

რესპუბლიკა კუბა. ქალაქ კარდენასის (მატანსასის პროვინცია) ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია კონტრრევოლუციონერთა ჯგუფის ხრიკების პასუხად.

დემონსტრაციამ ცხადყო ხალხის განუხრელი ნება დაიცვას სამშობლო და რევოლუცია.

სურათზე: მატრიოტული ორგანიზაციის მონაწილე ქალთა კოლონა.

ფოტო პრენსა ლატინა-საკადესისა.

ჯალათის კასუხი უნდა მოეთხოვოს!

ბონი, 17 ივლისი. (საკადესი). ბევრ ქვეყანაში დიდი აღშფოთება გამოიწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ფრენკელის საქმემ, რომელიც ამას წინათ გადაეყენებინა ომის დროს ჩადენილ დანაშაულობათაგის. ამით დამფრთხალი დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი საზოგადოებრიობის ზეგავლენით იძულებული ყოფილან დაიწყონ ყოფილ სს-ელი გენერლის ბახ-ზელეუსკის სასამართლო დევნა, რომელსაც ბრალად დებენ იმას, რომ მისი ბრძანებით 1933 წელს დახვრიტეს ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი შვიდი კომუნისტი, ბახ-ზელეუსკისთან ერთად ნიურნბერგში საბრალდებელი სკამზე ზის ხუთი სხვა ყოფილი სს-ელი, რომლებიც ასრულებდნენ მის დანაშაულებრივ ბრძანებას.

მაგრამ ყველაფერი იმას მოწმობს, რომ თემიდას მონელი მსახურნი აშკარად ცდილობენ დაიცვან ეს გამოუსწორებელი პიტლერელი. ჯალათის სახიზღარი დანაშაულობანი მით დაახასიათეს როგორც... „მკვლელობისთვის წყალზეგა“. ამავე დროს სასამართლო ხელისუფალნი გულმოდგინედ უკლიან გვერდს სხვა დანაშაულობებს, რომლებიც ბახ-ზელეუსკის „ბიჭებმა“ ჩაიდინეს. ამაგად ცნობილია, რომ მის სინდისზეა მრავალი სხვა არანაკლებ მძიმე დანაშაული, ვიდრე ის, რისთვისაც ამყავამდ საბრალდებელთა სკამზე მოხვდა. ეს ჰიტლერელი ჯალათი იყო სულისჩამდგმელი და შემსრულებელი მოსაზღვრეობის მასობრივი მოსპობის მთელი რიგი „ოპერაციებისა“ ტერიტორიებზე, სადაც დროებით ბატონობდნენ ფაშისტები. მან მოაწყო ებრაელთა დარბევა სილეზიაში 1938 წელს და ეგრეთწოდებული „ბროლის ღამის“ შემდეგ ჰიტლერს მოახსენა, „ებრაელებისაგან გავათავისუფლეო სილეზია“. მან დააარსა ოსვენციმი. მისმა სს-ელთა ბრიგადამ 1941 წლის განმავლობაში დახვრიტა 100.000-ზე მეტი ებრაელი და პოლონელი, და, ბოლოს, 1944 წელს იგი სარდლობდა დამსჯელ ნაწილებს, რომლებმაც სისხლში ჩაახრჩეს პოლონელ პატრიოტთა აჯანყება ვარშავაში.

დასავლეთ გერმანიის იუსტიციის ორგანოები აყოვნებენ სასამართლო გამოძიებას, ავრეთვე მისი „ვარშავის საქმის“ გამო. ამავე საქმეზე პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული ვარშავის აჯანყების ჩახშობის მეორე მონაწილეც — ყოფილი სს-ელი გენერალი რაინეფარტი, რომელიც ამ

პორტრეტული ფერწერის ოსტატი

ჩვენი ეროვნული

გიორგი მაისურაძის დაბადების 145 წლისთავი

ქართული პორტრეტული მხატვრობის დიდ ოსტატთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გიორგი მაისურაძეს. როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა მეტად თავისებური მიმართულება ქართულ პორტრეტულ ფერწერაში, რომელმაც შეიმუშავა საკუთარი სტილი და ფერწერის ტექნიკის დამახასიათებელი ნიშნები. ამ დროის ქართული პორტრეტული ხელოვნება მაღალ მხატვრულ დონეზე დგას.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მაისურაძემ მხატვრული განათლება მიიღო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, სადაც იგი სწავლობდა დიდი რუსი მხატვრის კ. ბრიულოვის ხელმძღვანელობით, მისი შემოქმედება წარმოადგენს ეროვნული მხატვრული ტრადიციების გაგრძელებას, მისი განვითარების ახალ საფეხურს.

გიორგი მაისურაძე დაიბადა 1817 წელს ყმა გლეხის ოჯახში, რომელიც ცნობილ პოეტს ალ. ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა.

პატარა გიორგი იზრდებოდა ალ. ჭავჭავაძის ბავშვებთან ერთად. ალ. ჭავჭავაძეს არ შეეძლო არ შეემჩნია ყმაწვილ მაისურაძის მხატვრობის ნიჭი და მისი მიდრეკილება ამ ხელოვნებისადმი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძის თაოსნობით ნიჭიერი ჭაბუკი ორი წლის განმავლობაში სწავლობდა უცნობ მხატვართან, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ჭავჭავაძის მამულში ცხოვრობდა და ხატავდა ალ. ჭავჭავაძის ოჯახის წევრთა და ახლობელთა პორტრეტებს. 1837 წელს ბ. გ. ჭავჭავაძემ გიორგი ყმობისაგან გაათავისუფლა და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში გაგზავნა სასწავლად.

იმავე 1837 წლის სექტემბერში გიორგი მაისურაძე ჩაირიცხა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, როგორც „გარეშე მოწაფე“ პროფესორ კ. ბრიულოვის კლასში.

აკადემიაში სწავლის დროს ახალგაზრდა გიორგი მუშაობდა ხელმოკლეობას განიცდიდა. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII შვილმა ბატონიშვილმა ბაგრატმა 1838 წლის 31 მაისს სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს ა. ი. ოლენინს მიმართა შუამდგომლობის წერილით ჩაერიცხოთ გიორგი მაისურაძე სახელმწიფო ხარჯზე, მაგრამ ეს თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. მაშინ ბატონიშვილმა თვითონვე „იკისრა“ დახმარება გაეწია. თანამშემაულისათვის. გულთბილ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა მხატვრის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში მისი მასწავლებელი კ. ბრიულოვიც. მაგრამ ამ ორი პიროვნების გულისხმიერებამ არსებითად ვერ შეცვალა გიორგის მდგომარეობა. მას მინიჭებული არ ჰქონდა მხატვრის ოფიციალური წოდება, რაც ძალიან უშლიდა ხელს უზრუნველყოო თავი კერძო შეკვეთებით. ასეთი წოდების მოპოვების მიზნით გიორგი მაისურაძემ 1841 წლის 26 მაისს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის საბჭოში წარადგინა ნატურიდან დახატული პორტრეტი. მაგრამ წარდგენილი შრომა არ უპასუხებდა აკადემიის მოთხოვნებს და საბჭომაც უარი უთხრა. ეს წოდება მას მიენიჭა მხოლოდ სამი წლის შემდეგ ატესტატის გადაცემასთან ერთად, ე. ი. 1844 წელს, მეშამფულ გეროგაძის პორტრეტის დახატვისათვის.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მხატვარი საქართველოში დაბრუნდა.

1850 წელს გ. მაისურაძე დასახლდა ქუთაისში და მუშაობა დაიწყო იქაურ კლასიკურ გიმნაზიაში კალიგრაფიის და ხაზვა-ხატვის მასწავლებლად. მისთვის არასაინტერესო, იძულებით თანამდებობაზე ნიჭიერმა მხატვარმა დაჰყო 35 წელი. გიორგი მაისურაძე გარდაიცვალა 1885 წელს.

თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი, ყველაზე მომწიფებული ხანა გიორგი მაისურაძემ გაატარა ქუთაისში მასწავლებლად შორის, რომელთაც ნაკლებად აინტერესებდათ ხელოვნება და მის პროფესიასაც ერთგვარი უპატივცემლობით ეკიდებოდნენ. ბუნებრივია, რომ ასეთ გარემოცვაში გ. მაისურაძე თავს გრძნობდა უცხოდ და ეუფლად; ამას კი არ შეეძლო უარყოფილი გაკვლენა არ მოეხდინა მისი ნიჭის განვითარებაზე.

ქუთაისის ინტელიგენციის მრავალ ოჯახში ახლაც ინახება გიორგი მაისურაძის მიერ დაწერილი პორტრეტები. ქუთაისის და მისი მიდამოების ეკლესიებში ჯერ კიდევ არის დაცული გ. მაისურაძის მიერ მოხატული კანკელები. მაგრამ მხატვრის ყველა ეს ნამუშევარი,

სამწუხაროდ, მთლიანად ჯერ კიდევ გამოვლინებული და შეფასებული არ არის.

ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია გიორგი მაისურაძის მიერ დახატული ორი პორტრეტი. ერთი მათგანია პეტერბურგში 1839 წლის 18 აგვისტოს, ე. ი. სამხატვრო აკადემიაში ორი წლის სწავლის შემდეგ, შესრულებული პორტრეტი, რომელზეც გამოსახულია ბატონიშვილ ბაგრატის ვაჟი—ალექსანდრე ბაგრატიონი გვარდიის ოფიცრის ფორმაში; პორტრეტი დაწერილია წელს ზევით (ტრადიციულ პოზაში). მუმბოულისებრ თეთრ ღრუბლებს კომპოზიციის ნაგრიზფერ ფონზე სურათში ერთგვარი რომანტიკული ელფერი შეაქვს. ალექსანდრე ბაგრატიონის ახალგაზრდა სახე რეალისტური მანერით არის დაწერილი. ძლიერ შესამჩნევი ღიმილი, დიდრონი თაფლისფერი თვალები, კეთილშობილური, წარმოსადეგი ახოვანობა პორტრეტს თავისებურ სილამაზეს ანიჭებს. სიცოცხლის მანიშნებელი ყველა ეს დეტალი მოწმობს ახალი სტილის დაბადებას ქართულ პორტრეტულ ფერწერაში, სტილისა, რომლის ფუძემდებელი გახდა გ. მაისურაძე. ახალი სტილის თვისებები თვალსაჩინო და ხელშესახებია იქაც კი, სადაც მხატვარმა ვერ მოახერხა მთლიანად დაიძლია ძველი პორტრეტული ფერწერის შესრულების მანერის პირობითობა.

მეორე პორტრეტი დაწერილია 1852 წლის 24 ივნისს ალბათ ქუთაისში; მასზე საპარადო სამხედრო ფორმაში გამოსახულია ი. ჭეჭინაძე ახალგაზრდობაში. პორტრეტი დაწერილია წელს წვეთ, თითქმის პირდაპირ. გ. მაისურაძემ მოახერხა ცოცხალი გამომეტყველება მიენიჭებინა პირისახისათვის, რომელიც დახატულია ტექნიკური სრულყოფით, ლესირების რთული ხერხებს სათანადო გამოყენებით. გ. მაისურაძე ამ პორტრეტში ჩრდილის და შუქის განლაგებას ახდენს იმ მოშენიფებული მხატვრის ოსტატობით, რომელსაც ჩინებულად შეუთვისებია რეალისტური სკოლის პრინციპები.

გ. მაისურაძის ფუნჯს მიაწერენ აგრეთვე საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ პატარა პორტრეტს, რომელიც აკვარელის ტექნიკით არის შესრულებული და რომელზეც მხატვარმა თითქოს თავისი თავი გამოსახა.

ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა წინაშე დგას პატრიოტული ამოცანა — შეაგროვონ და მთლიანად შეისწავლონ ს. მაისურაძის მხატვრული მემკვიდრეობა. ის იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. შესანიშნავი რუსი მხატვრის კ. ბრიულოვის კლასში, სადაც იგი შეხვდა მასავითი ყმა გლეხობის წრიდან გამოსულ დიდ უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს.

გიორგი მაისურაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა რაოდენობით დიდი როდია, მაგრამ იგი ინარჩუნებს ისტორიულ მნიშვნელობას იმ მხრივ, რომ მოსწავლეს ძველი, პირობითი პორტრეტული ხელოვნების დრომოჭმული ტრადიციებისაგან ჩამომორებას და მისი მეოხებით მხატვრობაში მომხდარი იმ გარდატეხის დასაწყისს, რიოელმაც შემდგომ თაობათა მხატვრები მიიყვანა ამ ჟანრის ჭეშმარიტად რეალისტურ, სრულფასოვან, სასიცოცხლო ძალის ნაწარმოებთა შექმნამდე.

შ. ამირანაშვილი,
აკადემიკოსი.

* * *

სურათზე: ივანე იაკობის-ძე ჭიჭინაძის პორტრეტი, შესრულებული გიორგი მაისურაძის მიერ 1852 წელს.

ეროვნული ოლიმპიადა

კიურასაოს გაკვეთილები

პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილის შთაბეჭდილებები

ალბათ ძალზე ძნელია იყო ჭადრაკის გულშემატკივარი, რადგან თვით ჭადრაკის „სპეციალისტებმაც“ ვერ შეძლეს გაეკეთებინათ სწორი პროგნოზი და დაუსახელებინათ კიურასაოში გამარჯვებული. ჩვენ გვახსოვს, რომ „კომსომოლსკაია პრავდას“ ანკეტის მიხედვით უმეტესობა უპირატესობას გროსმაისტერ მიხეილ ტალს აკუთვნებდა. მეორე პრეტენდენტად ასახელებდნენ ამერიკელ რობერტ ფიშერს. აი ამ ორ ახალგაზრდა პოპულარულ მოჭადრაკეს ძალევდნენ უპირატესობას გაზეთის მკითხველები, და ისინი შეცდნენ...

სპორტის ყველა სახეობაში წლოვანება თავის როლს თამაშობს, ჭადრაკშიც აქვს მას მნიშვნელობა. მაგრამ მარტო ახალგაზრდობა არ კმარა, რათა გაიმარჯვო მსოფლიოში ყველაზე ძნელ ტურნირში, სადაც საუკეთესო მოჭადრაკეები თამაშობენ.

ეჭვს არ იწვევს, რომ გამარჯვებისათვის შეეძლო ებრძოლა მას, ვინც შესანიშნავად იყო მომზადებული შეჯიბრებისათვის. რას ვგულისხმობთ „მომზადებად“?. უწინარეს ყოვლისა მოწინააღმდეგეთა ყოველმხრივ შესწავლას, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებას. მეორე — ფიზიკურ მომზადებას. კიურასაოს ტურნირი ხანგრძლივი და მომქანცველი იყო. ჩვენს პრაქტიკაში გვხვდება შეჯიბრებანი, სადაც ვთამაშობთ 13-17 პარტიას. ძალიან ძნელი შეჯიბრებაა საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალი, სადაც 19 ან 21 პარტიის თამაში გვიხდება. მაგრამ პრეტენდენტთა ტურნირში, სადაც 28 (!) პარტია უნდა გვეთამაშა, გადაჭარბა საჭადრაკო ასპარეზობის ყოველგვარ აზრობრივ და მოთმინების საზღვრებს. ამიტომაც ჭეროდა ასეთი დიდი მნიშვნელობა ყოველი მონაწილის სპორტულ და ფიზიკურ მომზადებას. თუ ამას დავუმატებთ კიურასაოს ტროპიკულ სიცხეს, რომელმაც აუცილებლად უარყოფითად იმოქმედა ყველა მონაწილეზე, გასაგები იქნება ბევრი რამ.

მოკლედ ტურნირის ეტაპებზე.

პირველი წრის შემდეგ პირველ ადგილზე იყო კორჩნოი (5 ქულა 7-დან), მეორეზე ე. გელერი — $4^1/_2$ ქულა.

ტურნირის პირველი ნახევარი დამთავრდა პეტროსიანისა და გელერის გამარჯვებით, მათ ცხრა-ცხრა ქულა ჰქონდათ. მესამე იყო პ. კერესი $8^1/_2$ ქულით. მესამე წრის შემდეგ ლიდერი გახდა კერესი $14^1/_2$ ქულით. პეტროსიანი და გელერი ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ მას. ყველაფერი უკანასკნელმა ტურმა გადაწყვიტა, უფრო სწორად წრის ორმა უკანასკნელმა ტურმა.

პეტროსიანმა მოაგროვა $8^1/_2$ ქულა 6-დან, გელერმა — 8, კერესმა — $2^1/_2$ ქულა 6-დან.

შედეგი: კიურასაოს ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი.

ხშირად ამბობენ, ამა თუ იმ ასპარეზობაში გამარჯვებულს ბედი უნდა სწყალობდესო. თანასწორთა ასპარეზობაში ეს მართლაც ასე ხდება ხოლმე, რაც ბუნებრივია. მაგრამ კიურასაოზე ტ. პეტროსიანს სატურნირო ბედზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა. პეტროსიანმა 19 პარტია ყაიმით დაამთავრა და 8 მოიგო. მისი შედეგები კანონზომიერია. გამარჯვებებს იგი აღწევდა გეგმაზომიერი, თანმიმდევრული თამაშით. მას უხდებოდა გადაელახა დიდი წინააღმდეგობა. აღსანიშნავია, რომ არც ერთ პარტიაში მას არ ჰქონია უარესი მდგომარეობა. მხოლოდ ერთხელ იყო ამისთანა შემთხვევა (ბენკოსთან, პირველ წრეში). პეტროსიანის გამარჯვება ფიზიკური და სპეციალური მომზადების შედეგია, შედეგია იმ დიდი ნებისყოფისა, რომელიც მან გამოავლინა.

პეტროსიანის ძირითადმა კონკურენტებმა — კერესმა და გელერმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს. მართალია, გამარჯვებულისაგან განსხვავებით, რომელმაც მთელი ტურნირი ერთ დონეზე ჩაატარა, ისინი ტურნირის გარკვეულ ნაწილს თამაშობდნენ ძლიერად, ზოგჯერ კი კარგადნენ ძალებს. კერესმა ტურნირი დაიწყო ფრთხილად. იგი ისწრაფვოდა დაეგროვებინა ქულები და ამისთვის მცირე ენერგია დაეხარჯა. მთელი ძალით იგი მესამე წრეში ათამაშდა, სადაც 6 ქულა დააგროვა შვიდიდან. და ეს მისი ბედის სიმღერა იყო. დასკვნით ეტაპზე კერესი ისე დაიღალა, რომ ვერც ერთი პარტია ვერ მოიგო, ბენკოსთან კი მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია წააგო უხეში შეცდომის გამო. რაც შეეხება გელერს, იგი ტურნირის დაწყებიდანვე იბრძოდა და აჩვენებდა შესანიშნავ თამაშს. ერთ-ერთ საუკეთესო პარტიად შეიძლება ჩაითვალოს მისი გამარჯვება ფიშერზე პირველ წრეში, და მანაც ვერ გაძლო ბოლომდე და დათმო თავისი პოზიციები. ძართალია მან შეძლო ყაიმის მიღწევა სრულიად უიმედო მდგომარეობაში ჩემთან და ფილიპთან, სამაგიეროდ წააგო აშკარად მოგებული პარტია ფიშერთან. ამ წაგებამ მას სრულიად დაუკარგა მეორე ადგილის აღების შანსი. მაგრამ ბოლო დღეს ბენკომ „აჩუქა“ მას ქულა, გადააცილა რა დროს მოგებულ პოზიციაში. ასე რომ გელერი დაეწია კერესს და მასთან ერთად გაიყო II-III ადგილები.

ამგვარი მოულოდნელობანი ტურნირში იმდენი იყო, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. იმდენად დავიღალეთ, რომ ვედარ ვხედავდით სვლების და ხშირად კოროლებს ჭქონდა ადგილი. მაგალითად, მესამე წრეში კერეს-ბენკოს პარტიაში ბენკომ ციტენტაში მონახა ერთადერთი სვლა, რომელთაც ყაიმს აღწევდა. გახარებულმა ისე ძლიერად გადასვა ფიგურა, რომ დაფაზე არაფერი დარჩა. კერესმა აუღელვებლად ჩართო ბენკოს საათი და წინადადება მისცა აღედგინა პოზიცია, სანამ ბენკო ფიგურებს ალაგებდა, მას ალაბი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.

როგორც ჩანს, ამერიკელმა გროსმაისტერმა რობერტ ფიშერმა სტოკჰოლმში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ზედმეტად შეაფასა თავისი შესაძლებლობანი და ცუდად მოემზადა ასპარეზობისათვის. პირველი სამი დამარცხების შემდეგ მან იტირა. შემდეგ დაწყნარდა და ბრძოლას შეუდგა. იგი თამაშობდა დაძაბულად, ნერვიულობდა და ვერ აჩვენა ისეთი ბრწყინვალე პარტიები, როგორც სტოკჰოლმში. მხოლოდ ბედის წყალობით თუ ავხსნით, რომ მან 14 ქულა დააგროვა. მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ ფიშერი საჭირო დასკვნებს გააკეთებს ამ ტურნირიდან. მომავალში კი მას უდავოდ დიდი მიღწევები ელის.

მეხუთე ადგილი წილად მხვდა მე. ტურნირის პირველ ნახევარში მე კიდევ ვიბრძოდი ლიდერობისათვის, მაგრამ ძალები აღარ მეყო და მოვაგროვე ქულათა 50 პროცენტი. შედეგი არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ არც სამარცხვინო.

გარკვეულ წარმატებას მიაღწია ბენკომ პრეტენდენტთა წინა ტურნირთან შედარებით. მან $11^1/_2$ ქულა მოაგროვა. მას პოზიციის შეფასების თავისებური უნარი აქვს, რაც მის ოპტიმისტურ განწყობილებას ერთვის. იგი მოგებისაკენ ისწრაფვის, მაგრამ ძლიერი ციტენტები ყოველ პარტიაში ძალიან უშლიან ხელს.

ძალიან ადრე, პირველი წრის შემდეგ დათმო პოზიციები ჩეხოსლოვაკიელმა გროსმაისტერმა მ. ფილიპმ. მისი შედეგი 7 ქულა 27-დან სრულიად არ გამოხატავს ამ პასიური, მაგრამ მრისხანე მოჭადრაკის შესაძლებლობას.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე მხოლოდ ექს-ჩემპიონ მ. ტალის თამაშზე.

მას აქვს უდიდესი საჭადრაკო ფანტაზია, კოლოსალური ენერგია და ამავე დროს სუსტი ჯანმრთელობა. ამა წლის მარტში მან სერიოზული ოპერაცია გადიტანა და სულ ცოტა სამი თვე მაინც უნდა დაესვენა. მიუხედავად ამისა ამრიკის ბოლოს იგი კიურასაოში გაემგზავრა. ამ ტურნირში მას ვერ იცნობდით — იგი თამაშობდა მძიმედ, სვლების მოფიქრებაზე ხარჯავდა დიდ დროს, ხშირად უშვებდა უბრალო და უხეშ შეცდომებს. შემდეგ ტალი სერიოზულად ავად გახდა და გამოეთიშა ასპარეზობას. ტალი რომ უნიჭიერესია, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ საჭიროა თავის ჯანმრთელობას უფრო სერიოზულად მოეკიდოს. არც ერთ მოჭადრაკეზე სუსტ ფიზიკურ მომზადებას დადებითად არ უმოქმედნია, და ტალიც არ შეიძლება იყოს გამონაკლისი.

კიურასაოს პრეტენდენტთა ტურნირი დამთავრებულია, წინ მატჩია ბოტვინიკსა და პეტროსიანს შორის, მატჩი, რომელის შედეგის განსაზღვრა ძალიან ძნელია. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ ბრძოლა დაძაბული იქნება, და მისი შედეგი მხოლოდ უკანასკნელ პარტიებში გაირკვევა.

ვიქტორ კორჩნოი,
გროსმაისტერი.

ლიდერთა ორი მატჩი

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში დასასრულს უახლოვდება. როგორც ვიუწყებოდით ქალთა გუნდებმა დაამთავრეს ბრძოლის უკანასკნელისწინა ეტაპი და ახლა ისვენებენ. უკანასკნელისწინა ეტაპს ამთავრებენ აგრეთვე ვაჟთა გუნდები და მცირე ხნით მათაც მოუწევთ შესვენება.

16 ივლისს გაიმართა ვაჟთა გუნდების 2 ცენტრალური მატჩი. რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი თამაშობდა კიევის სკა-სთან. მართალია, რიგელები წაადგნენ ძლიერ წინააღმდეგობას, მაგრამ მათ მაინც შეძლეს შეხვედრის მოგება ანგარიშით 68:61.

მეორე მატჩი შედგა მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ლენინგრადის სკა-ს გუნდებს შორის. შეჯიბრება ნაკლებად საინტერესო იყო. ლენინგრადელებმა ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და დამარცხდნენ ანგარიშით 56:86 (27:36).

დღეისათვის გათამაშების ლიდერია რიგის სკა-ს გუნდი, რომელსაც არც ერთი მატჩი არ წაუგია და 15 თამაშიდან 15 ქულა აქვს. ამდენივე ქულა აქვს ცსკა-ს, მაგრამ 17 თამაშიდან. თბილისის დინამოს 12 თამაშიდან 9 ქულა აქვს.

ერთი გურთის ორი ქულა

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ერევნის „სპარტაკის“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 1:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

საბჭოთა მოჭადრაკეების უპირატესობით

ჩეხოსლოვაკიის საკურორტო ქალაქ მარიანსკე-ლაზნეში გიორგადება მსოფლიო პირველობის გათამაშება ჭადრაკში სტუდენტთა ნაკრებ გუნდებს შორის. კვლავ წარმატებით გამოდიან საბჭოთა მოჭადრაკეები. მორიგ მატჩში მათ დაამარცხეს მოხლოლეთის გუნდი ანგარიშით 3,5:0,5.

სსრ კავშირის გუნდი ლიდერობას ინარჩუნებს, მან ფინალში ოთხი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და 16 შესაძლებლიდან 14 ქულა აქვს.

ჩემპიონი გამოვლინდა

ბუქარესტში დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება ხელბურთში (7×7) ქალთა გუნდებს შორის. განსაკუთრებით შეუპოვარი იყო დასკვნითი შეხვედრები, სადაც წარმატებით გაბმოდიოდნენ რუმინეთისა და დანიის გუნდები. მათ შორის პაეკრობაში გაიმარჯვა პირველმა. რუმინეთის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა კოლექტივმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სსრ კავშირის გუნდმა, რომელიც ასეთ დიდ ასპარეზობაში პირველად გამოდიოდა მეექვსე ადგილი დაიკავა. უკანასკნელი მატჩი მან დამარცხებით დოლში წააგო უნგრელებთან 10 : 12.

„გიგანტთა“ შეხვედრის წინ

სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივი რამდენიმე დღეა იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ქ. პალო-ალტოში და ელის მომავალ მატჩს, რომელიც აქ 21-22 ივლისს გაიმართება.

ამერიკელი სპორტსმენები, მძლეოსნობის სპეციალისტები, ჟურნალისტები მატჩისადმი დიდ ინტერესს იჩენენ და მას „გიგანტთა“ მომავალ ასპარეზობას უწოდებენ. სტენფორდის სტადიონზე, რომელიც 90.000 მაყურებელს იტევს ამ დღეებისათვის ყველა ბილეთი გაყიდულია.

საბჭოთა და ამერიკელმა მძლეოსანმა ჯონ კრამერმა ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში. მისი შედეგია 4 მეტრი და 72 სანტიმეტრი.

ამერიკა „გიგანტთა“ მატჩის მოლოდინშია.

სიძლიერის, სიღამაზის ასპარეზობა

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ათასობით სტუდენტი სპორტსმენი ეწვია. ისინი აქ ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებიდან. თბილისმა სპორტსმენები გულთბილად მიიღო. მიმდინარეობს უკანასკნელი სამზადისი. სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი შეჯიბრებისათვის.

მართალია ჯერ კიდევ საზეიმოდ არ გახსნილა სტუდენტთა III თამაშების ფინალური ასპარეზობა, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში სპორტსმენები უკვე ჩაებნენ ბრძოლებში.

ამ დღეებში ამოიწურა ზონალური შეჯიბრება ფრენბურთში, რომელიც თბილისელი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა. ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა პირველი ადგილები და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

გუშინ „დინამოსა“ და ქალაქის სპორტკავშირის კორტებზე ბრძოლაში ჩაებნენ ჩოგბურთელები. უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 5:0 დაამარცხა ყაზახეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი, ხოლო კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტმა — ლვოვის თანაკლასელები 4:0. დღეს გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდებს შორის.

დანარჩენ უმაღლეს სასწავლებელთა გუნდების შეხვედრების შედეგები ასეთია: საკრთველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი—თურქმენეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 5:0, ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტი—ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 5:0, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი—ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 4:2. მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი—ომსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 4:0.

გუშინ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში დაიწყო პირადი პირველობის წინასწარი შეხვედრები ხმლით ფარიკაობაში.

ერთი გურთის ორი ქულა

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ერევნის „სპარტაკის“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 1:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

გზეგი და გზაჯვარედინეგი

ერთი ახალი ფილმის გადაღებაზე

ყაზბეგის მთების ძირში, მდინარე სნოსწყალთან მწყემსებს ბინა დადგომთ. საღამო ხანი იყო და საგრძნობლად ცივდა. აბრიალებულ კოცონს დაღლილ მეცხვარეები შემოსხდომოდნენ.

გლახო მადიანად ილუკმეზოდა, პატარა ვაჟიას საზიდარზე ტკბილად ეძინა, ყივანაც რაღაცას ისმუსნებოდა, ახოვანი ტანის ჭაღარა მარტია საზიდრის ბორბალზე მიყრდნობილი ისვენებდა, მსუქანი სახის ახალგაზრდა მწყემსი ბალთა კი ცხენიდან არ ჩამოდიოდა.

— რას დაჰკერებიხარ მა უნაგირსა, ჩამო ლუკმა გატეხე, ბალთა, — დაუძახა გელამ ცხენოსანს. და თან ططცხლზე წყლით სავსე ქვაბი ჩამოჰკიდა.

— მაძღარი ვარ, არა მშია, — უპასუხა ბალთამ.

— რაღაცის თქმა უნდა, მარტია, გაჭირვებულია, — ყველას გასაგონად წასჩურჩულა გელამ მამას და მერე ბალთას მიუბრუნდა:

— თქვი, ბალთა, ნუ გრცხვენია, სულ შინაურები ვართ.

— თუ რამე მინდა, მეც კარგა ვიტყვი. ყველამ თავისი იდარდოს.

— რა გინდა, ბალთა? — ეკითხება მარტია.

— გადასახდელი მაქ.

— ვისი რა გმართებს?

— კამსამოლასი. ვდიე, ვდიე, და ხან რაკომში მაქო საქმე, ხან ალმასკომშიო, ერთი ვერ ჩავიგდე რო...

— გაუშვი, გადაიხადოს და ფილაზე ისევ აქ გაჩნდება, — შუამდგომლობს მარტიასთან ყივანა, თან სიცილს ძლივს იკავებს. ყველას ეღიმება, ბალთა მარტიას შესცქერის.

— წადი, შვილო! —ნება მოსცა მარტიამ.

გახარებულმა ბალთამ ცხენი ადგილიდან მოწყვიტა.

კინოპანორატორა და მძღავრი პროექტორები რომ არა, გეგონებოდათ სნოსწყლის ნაპირას ნამდვილი მწყემსები იყვნენ და ჩვეულებრივ საუბრობდნენო, მაგრამ სინამდვილეში აქ ქართველი კინომსახიობები შრომობდნენ, მიმდინარეობდა ახალი მხატვრული ფილმის „გზები და გზაჯვარედინების“ მორიგი სცენის გადაღება.

ფილმის სცენარი ეკუთვნის ახალგაზრდა მწერალს მერაბ ელიოზაშვილს. აღსანიშნავია, რომ მერაბი თვითონ ასრულებს თავისი ერთ-ერთი გმირის — ბალთას როლს.

სურათს დგამენ ახალგაზრდა რეჟისორები ელდარ შენგელაია და თამაზ მელიავა, ოპერატორია ლეონიდ კალაშნიკოვი.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები არიადნა შენგელაია (მარია). იმედა კახიანი (გელა), ალექსანდრე კუპრაშვილი (ყივანა), ვალერიან დოხლუხაშვილი (გლახო), პატარა მწყემსის ვაჟიას როლში მაყურებლები ნახავენ თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელ გოგი კიკაძეს.

სასახარულოა, რომ ეკრანს კვლავ უბრუნდება კინომსახიობი სპარტაკ ბალაშვილი. იგი ამ სურათში მარტიას როლს ასრულებს. მასობრივ სცენებში მონაწილეობს მრავალი ყაზბეგელი მწყემსი.

გადაღებები წარმოებდა შირაქში, თბილისში, კასპიის პირეთსა და ყაზბეგში. ახალი მხატვრული ფილმი, რომელიც ქართველი მწყემსების მამაცურ შრომაზე მოგვითხრობს, მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდება.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათებზე: კადრი ფილმიდან. მარტია — სპარტაკ ბალაშვილი, ვაჟია — გოგი კიკაძე; კინოგადაღება ჯგუფი მუშაობის დროს.

ფოტო ვ. ხულელიძისა.

უკანასკნელი ფოსტა

ხუმრობა „ცისკრისა“, ან „რაღაც ამგვარი...“

სიმართლე გითხრათ, გამეხარდა, ფოსტალიონმა ჟურნალ „ცისკრის“ მე-6 ნომერი რომ მომიტანა. მომეწონა, რომ წავიკითხე „ხელმოწერილია დასაბეჭდად 21 აგვისს“. ამა, ჩვენს შორის დარჩეს და, რა ფასი უნდა ჰქონოდა ჟურნალ „დროშის“ აპრილის ნომერს, რომელიც ხელმომწერლებმა იენისის ბოლოს მიიღეთ და სწორედ იმ დღეს, როცა დამთავრდა ფეხბურთში საკავშირო გათამაშების პირველი ნახევარი, „ოპერატიულად“ გვაუწყა: მალე სტადიონებზე ალამი აღიმართება, ფეხბურთის სეზონი გაიხსნებაო. უფრო მეტიც: ამ ჟურნალის მუშაკებმა თავიანთი „ახალი ნომრით“ სულ ორი დღის წინ მოგვიღოცეს პირველი მაისის დღესასწაული (!)

ამ მხრივ „ცისკარს“ თითქოს სამდურავი არ ეთქმის. ჟურნალის მე-6 ნომერში პირველი ცხრა გვერდი დათმობილი აქვს რუსული პოეზიის დეკადას საქართველოში. დაბეჭდილია ა. ტვარდოვსკის, ა. სურკოვის, ვ. სოლოუხინის, ბ. ახმადულინას, ე. ევტუშენკოს, ა. ვოზნესენსკის, ი. მორიცის ლექსები. მკითხველი სიამოვნებით ეცნობა რუსი მეგობრების შემოქმედებას.

ჟურნალში კიდევ რამდენიმე საინტერესო რომანის ნაწყვეტები, ლექსი, პუბლიცისტური წერილები წავიკითხე.

და აი, ყურადღება მიიპყრო **მუხრან მაჭავარიანის** ლექსებმა „ხუმრობა“ და „ბიჭები“. მიიპყრო და, სამართლე გითხრათ, დამაღონა, სრულებითაც არ დამაყენა ხუმრობის გუნებაზე.

ეს პოეტი ფორმის ძიებაში ზოგჯერ ერთსა და იმასვე იმეორებს, ლექსის წყობას, აზრსა და ფორმას მეტისმეტად აშიშვლებს და აუბრალოებს, როგორც იტყვიან, რბილს ცალკე აწყობს და ძვალს ცალკე. ასეთი პოეზია, რა თქმა უნდა, უსახო, უსაგნო, უიდეო და გამოფიტულია.

სხვა საზომი არ შეიძლება მივუყენოთ იმ ახალ ლექსს, რომელსაც ცისკრის მე-6 ნომერში პოეტმა და რედაქციამ „ხუმრობა“ უწოდეს (ნეტავი მართლაც ეხუმრათ რამე და ეს ლექსი არ დაებეჭდათ). მოგვყავს იგი სიტყვა-სიტყვით.

„ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს
გაიმეტებს, —
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!..
ხოდა...